განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ეკონომიკის საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი - 2019 წლის 30 აგვისტო

დასკვნის წარდგენის თარიღი - 2019 წლის 24 სექტემბერი

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	424066977
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ეკონომიკის საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ეკონომიკის ბაკალავრი კოდი 0311
სწავლების ენა	ქართული
კრედიტებისრაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტირებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით ასლანიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მაია ბარამიძე, კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ტალიკაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამამ აკრედიტაცია მიიღო აკრედიტაციის საბჭოს 2014 წლის 19 ნოემბრის N 207 გადაწყვეტილებით, აღნიშნული პროგრამა ხორციელდება მისი აკრედიტაციიდან დღემდე.

ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

- ზოგადი საგნები- **28 კრედიტი;**
- ეკონომიკის ძირითადი სასწავლო კურსები - **142 კრედიტი;**
- საბაკალავრო ნაშრომი/სპეციალობის არჩევითი საგანი -**10 კრედიტი;**
- **60 კრედიტი,** რომლის ათვისებაც სტუდენტს შეეძლება შემდეგი ვარიანტებიდან ერთ-ერთის არჩევით: 1. უნივერსიტეტში მოქმედი ნებისმიერი აკრედიტებული MINOR პროგრამა **(60 კრედიტი);** 2. თავისუფალი/არჩევითი კურსები **- 60 კრედიტი.**

სულ პროგრამის მოცულობა: 240 კრედიტი.

პროგრამაში ნაწილობრივ გათვალისწინებულია 2014 წლის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები. კერძოდ, დამატებულია სასწავლო კურსი: „ეკონომიკური აზრის ისტორია“, პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსი „გადასახადები“ ნაცვლად მეორე სემესტრისა ისწავლება მეექვსე სემესტრში.

საგანმანათლებლო პროგრამას ეკონომიკის მაპროფილებელი სასწავლო კურსების მოდულის გაძლიერების მიზნით დაემატა ისეთი დისციპლინები როგორებიცაა: „შრომის ეკონომიკა“ „საერთაშორისო ეკონომიკა 1 და 2“. სასწავლო კურსი „ეკონომიკური პოლიტიკა“ ნაცვლად ერთი სემესტრისა, ისწავლება ორ სემესტრად, შემდეგი დასახელებით: „ეკონომიკური პოლიტიკა 1“ და „ეკონომიკური პოლიტიკა 2“, თავისუფალი არჩევითი კრედიტის ნაცვლად.

საგანმანათლებლო პროგრამაში არ არის სავალდებულო საბაკალავრო ნაშრომის შესრულება/დაცვა. სტუდენტს აქვს არჩევნის უფლება: შეასრულოს საბაკალავრო ნაშრომი ან გაიაროს არჩევითი სასწავლო კურსი „საქართველოს ეკონომიკა“ 10 კრედიტის მოცულობით.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 30 აგვისტოს. ვიზიტამდე 2 კვირით ადრე, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაზიარებულ/მოწოდებულ იქნა დეტალური მასალა აკრედიტაციაზე წარდგენილი ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის თაობაზე. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შეთავაზებით (ცენტრის წარმომადგენელი ქალბატონი ანა ლელაძე) 2019 წლის 27 აგვისტოს 16 საათზე ექსპერტებს ჰქონდათ წინასააკრედიტაციო შეხვედრა (დავით ასლანიშვილი, მაია ბარამიძე, ნინო ტალიკაძე), რათა განეხილათ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის დოკუმენტაცია. ექსპერტები გაეცნენ კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად შედგენილ აკრედიტაციის სახელმძღვანელოს და განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც ვიზიტისას დაისვა უმაღლესი საგანმანთლებლო საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

დაგეგმილი პროგრამის შესასრულებლად 29 აგვისტოს საღამოს, ექსპერტთა ჯგუფი გაემგზავრა ქ. ახალციხეში, ხოლო მეორე დღეს 30 აგვისტოს დილის 10:00 საათიდან განხორციელდა ვიზიტი უნივერსიტეტში დღის წესრიგის შესაბამისად. სამუშაო განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა სამცხე–ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და აკადემიურ პერსონალთან, რომლის ერთ-ერთ პროგრამას წარმოადგენს აკრედიტაციაზე წარდგენილი ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა (რექტორი, ვიცე-რექტორი სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებით და პროგრამის თანახელმძღვანელები, ბიზნეს ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკანი, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი, ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი), თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ პერსონალთან, ხარისხის სამსახურთან, სტუდენტებთან, ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან. ასევე, ვიზიტის ფარგლებში, განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, სასწავლო აუდიტორიები, ლაბორატორიები, კაბინეტები და ა.შ) დათვალიერება. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

ვიზიტის დროს დამატებით მოთხოვნილ იქნა შემდეგი დოკუმენტაცია: სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის minor პროგრამების სტრუქტურები, ეკონომიკის პროგრამის ბიუჯეტი ჩაშლილი მუხლობრივად, მოწვეული ლექტორის კახაბერ ციმინტიას რეზიუმე, კორექტირებული ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა (პროგრამა და სილაბუსები), ინფორმაცია სტუდენტთა სამუშაო ტურებზე სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, minor პროგრამების არჩევითობის სტატისტიკა, კორექტირებული დანართი 4. სწავლის შედეგების შეფასება, ინფორმაცია უფასო ინგლისური ენის შემსწავლელი პერსონალის შესახებ.

ვიზიტი დასრულდა დღის წესრიგით გათვალისწინებულ დროს - 17:30 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით:

პირველი სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ვინაიდან სტანდარტის 1.1 კომპონენტი ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო 1.2 კომპონენტი - როგორც მეტწილად შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ვინაიდან სტანდარტის 2.1, 2.3 და 2.5 კომპონენტები შეფასდა როგორც შესაბამისი მოთხოვნებთან, 2.2, და 2.6 კომპონენტები - როგორც მეტწილად შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან; ხოლო 2.4 კომპონენტი - როგორც ნაწილობრივ შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ვინაიდან სტანდარტის 3.1 კომპონენტი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ვინაიდან სტანდარტის 4.1, 4.3 და 4.4 კომპონენტები შეფასდა როგორც შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან, ხოლო 4.2 კომპონენტი - როგორც მეტწილად შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ვინაიდან სტანდარტის 5.1, 5.2 და 5.3 კომპონენტები შეფასდა როგორც შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან.

რეკომენდაციები

- პროგრამის მიზნები გასაწერია იმგვარად, რომ ცოდნა, უნარები და კომპეტენცია მკაფიოდ გამოჩნდეს პროგრამის გაცხადებულ პრიორიტეტებსა და საბაკალავრო კურსის შედეგს შორის.
- ეკონომიკის ბაკალავრის ხარისხისა და რეგიონში უნივერსიტეტის მნიშვნელობიდან გამომდინარე პროგრამაში დასამატებელია ეკონომისტისთვის აუცილებელი რამდენიმე სასწავლო დისციპლინა.
- სასურველია ეკონომიკის მიმართულებების საგნობრივი კონცენტრაციების გაძლიერება (ეკონომიკური მოდელირება, ანალიტიკური კომპიუტერული პროგრამები ეკონომისტებისთვის, ტურიზმის/ჯანდაცვის/ბუნებათსარგებლობის ეკონომიკა, ლოჯისტიკის საკითხები), ამასთან ყურადღება უნდა მიექცეს დამსაქმებელთა და სტუდენტთა მოსაზრებას და გაძლიერდეს პრაქტიკული საგნების ხვედრითი წილი.
- ბიზნეს ადმინისტრირების საგნების ნაწილი გადასატანია ამ პროფილის პროგრამაზე, ან მათი შესწავლა უნდა მოხდეს გაიოლებულ ფორმატში. ამ მხრივ სასწავლო კურსები/სილაბუსები საჭიროებს სისტემატიზაციას.
- სასურველია უნივერსიტეტის მხრიდან უცხო ენის (გერმანული, რუსული) შესწავლა უფრო მაღალ დონეზე განხორციელდეს – B1 და B2
- ეკონომიკის პროგრამის საგნობრივი დატვირთვა საჭიროებს გადახალისებას ეკონომიკური პროფილის საგნების გაძლიერებისა და ბიზნეს ადმინისტრირების საგნების რეორგანიზაციის გზით
- საერთაშორისო აკადემიური თუ გაცვლითი პროგრამებში უნივერსიტეტის მიერ დადებული ხელშეკრულებების შესასრულებლად და ამ ფორმატის გასაძლიერებლად აუცილებელია უცხო ენის კვალიფიციურ დონეზე შესწავლა, რომ აკადემიურმა პერსონალმა შეძლოს ლექცია/სემინარის უცხო ენაზე წარმართვა და საერთაშორისო დონეზე პროგრამის ინტერნაციონალიზაციის განხორციელება.

- პროგრამის სამეცნიერო პოტენციალი გასაფართოებელია ქვეყნის მასშტაბით. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტიობა უნდა მოიცავდეს საქართველოში ჩატარებული საერთაშორისო კონფერენციებსა და იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალებში სტატია/კვლევის გამოქვეყნებას.
- მკაფიოდ უნდა განისაზღვროს სასწავლო კურსების სწავლება-სწავლის მეთოდები დასახული მიზნისა და შედეგების მისაღწევად, სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით;
- ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ შემდეგი სასწავლო კურსების: მიკროეკონომიკა I-II, ეკონომიკური პოლიტიკა I-II, საერთაშორისო ეკონომიკა I-II შემთხვევაში შუალედური გამოცდის დროს გამოიყენება შეფასების შერეული კომპონენტები, მაშინ როდესაც დასკვნით გამოცდაზე შეფასება ხორციელდება მხოლოდ და მხოლოდ ტესტებით. სასურველია, სასწავლო კურსების სპეციფიკიდან გამომდინარე, გადაიხედოს დასკვნითი გამოცდის შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები, რათა უფრო მაღალ დონეზე მიიღწეს პროგრამისა და სასწავლო კურსის შედეგები და გამრავალფეროვნდეს შეფასების სისტემა.
- პროგრამის ხელმძღვანელობამ, ერთისმხრივ, უნდა გააძლიეროს აკადემიური/ მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების და სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა საერთაშორისო მიმართულებით; მეორეს მხრივ, აკადემიურმა პერსონალმა მეტად იაქტიუროს რეფერირებად საერთაშორისო ჟურნალებში პუბლიკაციების განთავსების და საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის კუთხით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- გააქტიურდეს პროგრამის პოპულარიზაცია და მარკეტინგი, რომ გაძლიერდეს ინტერესი პროგრამის მიმართ.
- სასურველია ინტერნაციონალიზაციის დონის ამაღლება და მოწვეული პროფესორიების (მათ შორის პარტნიორი საერთაშორისო უნივერსიტეტებიდან) მოწვევა
- სასურველია ინტერნაციონალიზაციის დონის ამაღლება და პროფესორების (მათ შორის პარტნიორი საერთაშორისო უნივერსიტეტებიდან) მოწვევა.
- უცხო ენის მაღალ დონეზე შესწავლისა და ლექცია/სემინარების უცხოენაზე ჩატარების ხელშეწყობის მიზნით დაინერგოს დაფინანსების და ხელშეწყობის რიგი ღონისძიებები (გრანტი, დაფინანსება, წახალისება)
- ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამაში სპეციალიზაციის საგნობრივი კონცენტრირების გაძლიერების აუცილებლობიდან გამომდინარე (იხ. სტანდარტი 2.2) საჭირო იქნება აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობის გაზრდა, რაც სასურველია გაკეთდეს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა აკადემიური დასაქმების და სხვა ახალგაზრდა სპეციალისტების მოწვევის გზით.
- მიუხედავად გატარებული ღონისძიებისა - პერსონალის პროფესიულ განვითარების ხელშეწყობის მიზნით უნივერსიტეტმა ორგანიზება გაუკეთა ინგლისური ენის შემსწავლელ კურსებს პროფესორ/მასწავლებლებისთვის - საჭიროა მეტი ძალისხმევა

და მუშაობის გაღრმავება უცხო ენების ათვისების მიმართულებით, რომლის გარეშე პროგრამის ინტერნაციონალიზაციის საკითხი ეჭვქვეშ დგება.

- სასურველია გაიზარდოს პროგრამის განვითარების ბიუჯეტი, კერძოდ, გამოიყოს მეტი თანხები პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გადაუდებელი ღონისძიებებისთვის.
- სასურველია უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნდეს აკადემიური პერსონალის საკონსულტაციო განრიგი.

- სასურველია გარე ექსპერტ-შემფასებლების (ადგილობრივი თუ საერთაშორისო) ჩართვა საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცესში მისი განვითარებისა და სრულყოფის მიზნით.
- მიზანშეწონილია თვითშეფასების შედეგად გამოვლენილი სუსტი მხარეების აღმოსაფხვრელად და საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება/გაუმჯობესებისათვის გაიწეროს კონკრეტული მოკლევადიანი და გრძელვადიანი სამოქმედო გეგმები.

საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა(ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიის შესაბამისად, ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის ძირითად მიზნებს წარმოადგენს: 1. ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე კონკურენტუნარიანი და მაღალკვალიფიციური სპეციალისტის მომზადება, რომელსაც აქვს ეკონომიკაში ინტეგრირებული, ფართო თეორიული ცოდნა. 2. უზრუნველყოს დამოუკიდებელი აზროვნების, შემოქმედებითი და პრაქტიკული მუშაობის, ზეპირი და წერითი კომუნიკაციის უნარების გამომუშავება, რაც აუცილებელია პროფესიული კარიერისათვის. 3. ხელი შეუწყოს ინფორმაციის ანალიზის, სინთეზისა და შეფასების, აგრეთვე ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის უნარების განვითარებას. 4. ეკონომიკის სფეროს შესწავლით წვლილი შეიტანოს ეკონომიკის დარგისა და ზოგადად, საზოგადოების განვითარებაში ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან. საბაკალავრო პროგრამის დანერგვისა და განვითარების მიზანი არის ბაზრის თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინება და რეგიონის სპეციფიკისა და ეკონომიკური პოტენციალის გაძლიერება, რაც უპირველეს ყოვლისა მათი შესაბამისი კადრების მომზადებაში ვლინდება. ამ მხრივ ეკონომიკის რიგი მიმართულებები (ეკონომიკური მოდელირება, ანალიტიკური კომპიუტერული პროგრამები ეკონომისტებისთვის, ტურიზმი, ლოჯისტიკის საკითხები) საერთოდ არ არის წარმოდგენილი სავალდებულო და არჩევით საგნებს შორის. ამავდროულად, არის რიგი საგნებისა, რომელთა ბმა ეკონომიკასთან არის სუსტი და ისინი ძირითად იმეორებენ და მიეკუთვნებიან ბიზნესის ადმინისტრირებას. ზოგიერთი საგანი (მაგ. ფინანსური მენეჯმენტი) მიმართულება გადაჭარბებულად მიეწოდება ეკონომიკის პროგრამის სტუდენტებს, ან შინაარსობრივად იმეორებს სხვა საგანს. აღნიშნული საკითხი კიდევ უფრო პრობლემურად იქნა მიჩნეული დასაქმების კუთხით. დამსაქმებელთან, აკადემიურ პერსონალთან, კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან გასაუბრებისას და უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული დოკუმენტების ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ პროგრამის კურსდამთავრებულთა თუ

სტუდენტთა საკმაოდ მცირე ნაწილი დასაქმებულია პროფესიის შესაბამისად (ეკონომისტად ან პროგრამის გაცხადებული მიზნის შესაბამისად). ამასთანავე, მთლიანობაში დასაქმების მაჩვენებელი და მოთხოვნა კადრებზე ადგილზე საკმაოდ მაღალია. სტუდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა საქმდება ბიზნეს ადმინისტრირების სპეციალობით. ფაქტიურად, კურსდამთვარებულთა თუ დასაქმებულ სტუდენტთა ეკონომისტის უნარ–ჩვევები უფრო დამხმარე ფუნქციას ასრულებს, ვიდრე ძირითადს. ეს განპირობებულია არსებული სტრუქტურით: ყოველწლიური ეკონომისტის ვაკანსია (სახელმწიფო დაფინანსებით) ფაკულტეტზე შეადგენს 80–100 სტუდენტს, ხოლო ბიზნეს ადმინისტრირების მიმართულებით აღნიშნული საგრანტო კომპონენტი არის მცირე. აქედან გამომდინარე, სტუდენტი ირჩევს სახელმწიფო დაფინანსებაზე მყოფ ეკონომიკურ პროგრამას, თუმცა საქმდება ბიზნეს ადმინისტრირების მიმართულებით, რასაც ხელს უწყობს ეკონომიკის პროგრამაზე ბიზნეს ადმინისტრირების საგნების სიმრავლე და რიგი ეკონომისტის კვალიფიკაციისთვის მნიშვნელოვანი საგნის სიმცირე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში • ინტერვიუები აკრედიტაციის ვიზიტის დროს აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებსა და დამსაქმებლებთან • ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა • სამცხე–ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია • ბაზრისა და დამსაქმებლების მოთხოვნების კვლევა • კურსდამთავრებულთა დასაქმების ანგარიშები და გამოკითხვა • სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მოთხოვნების კვლევა • სამცხე–ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.
რეკომენდაციები: • პროგრამის მიზნები გასაწერია იმგვარად, რომ ცოდნა, უნარები და კომპეტენცია მკაფიოდ გამოჩნდეს პროგრამის გაცხადებულ პრიორიტეტებსა და საბაკალავრო კურსის შედეგს შორის. • ეკონომიკის ბაკალავრის ხარისხისა და რეგიონში უნივერსიტეტის მნიშვნელობიდან გამომდინარე პროგრამაში დასამატებელია ეკონომისტისთვის აუცილებელი რამდენიმე სასწავლო დისციპლინა. • სასურველია ეკონომიკის მიმართულებების საგნობრივი კონცენტრაციების გაძლიერება (ეკონომიკური მოდელირება, ანალიტიკური კომპიუტერული პროგრამები ეკონომისტებისთვის, ტურიზმის/ჯანდაცვის/ბუნებათსარგებლობის ეკონომიკა, ლოჯისტიკის საკითხები), ამასთან ყურადღება უნდა მიექცეს დამსაქმებელთა და სტუდენტთა მოსაზრებას და გაძლიერდეს პრაქტიკული საგნების ხვედრითი წილი. • ბიზნეს ადმინისტრირების საგნების ნაწილი გადასატანია ამ პროფილის პროგრამაზე, ან მათი შესწავლა უნდა მოხდეს გაიოლებულ ფორმატში. ამ მხრივ სასწავლო კურსები/სილაბუსები საჭიროებს სისტემატიზაციას.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებულიპროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ, მოსალოდნელია, რომ სტუდენტს შეეძლება: 1. ფილოსოფიური აზროვნებისა და ეკონომიკური აზრის ძირითადი მიმართულებების მეცნიერული სისტემების განხილვა და შედარება 2. ეკონომიკაში გამოყენებული ძირითადი ცნებების, ეკონომიკის ძირითადი პრინციპების, მიკრო და მაკროეკონომიკური თეორიების, კონცეფციების, მეთოდებისა და მოდელების გამოყენება 3. ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტებისა და შეძენილი დარგობრივი ცოდნის გამოყენებით ეკონომიკური პროცესების, მათ შორის საქართველოს ეკონომიკაში მიმდინარე პროცესების ანალიზი და შეფასება, მიღებული შედეგების შეჯერება და სინთეზი 4. ეკონომიკაში მათემატიკური, რაოდენობრივი, სტატისტიკური და ეკონომეტრიკული მეთოდებისა და მოდელების გამოყენებით ეკონომიკური ამოცანების პარამეტრების გაანგარიშება და შესაბამისი დასკვნის ჩამოყალიბება 5. საფინანსო, სააღრიცხვო, მენეჯერული და მარკეტინგული ინფორმაციების გაანალიზებადა გამოყენება ოპტიმალური მმართველობითი გადაწყვეტილების მისაღებად 6. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების ტენდენციების, კანონზომიერებების და თავისებურებების, მასში საქართველოს ეკონომიკის ინტეგრაციის ანალიზი და სფეროში გარკვევა 7. ადამიანური რესურსების მართვის სფეროში პრიორიტეტული მიზნების განსაზღვრა და თეორიის თანამედროვე მიღწევათა ეფექტიანად გამოყენება, კომპანიასთან დაკავშირებული სამეწარმეო და შრომითი კანონმდებლობის ანალიზი 8. ეკონომიკის, მათ შორის საქართველოს ეკონომიკის საკითხებზე წერილობითი ანგარიშის მომზადება და წარდგენა, საქმიანი კომუნიკაცია, გუნდური მუშაობა და ავტონომიურობის დემონსტრირება

ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა ერთობლიობას - სწავლების შედეგების რუკა, გაწერილი საფეხურები, ცოდნა/უნარები და მათი შეფასების სისტემა. დაწესებულებაში დანერგილია შეფასების სისტემის გადამოწმების და სტანდარტის შენარჩუნების მონიტორინგის მაღალი დონე.

პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად აღწერს პროგრამის კურსდამთავრებულის უნარებს და მისი გამოყენების არეალს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუ პროგრამის თანახელმძღვანელებთან, ხარისხის სტრუქტურულ ერთეულებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან
- საგანმანათლებლო პროგრამა, სწავლის შედეგები, პროგრამის მიზნები
- პროგრამის სწავლის შედეგების შედგენაში ჩართული დაინტერესებული პირების დამადასტურებელი დოკუმენტები
- ვებ-გვერდი
- სწავლის შედეგების შეფასების გეგმა
- კურიკულუმის რუკა
- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანგარიში
- ბაზრისა და დამსაქმებლების მოთხოვნების კვლევა
- სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მოთხოვნების კვლევა
- პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების დასაბუთების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- გააქტიურდეს პროგრამის პოპულარიზაცია და მარკეტინგი, რომ გაძლიერდეს ინტერესი პროგრამის მიმართ.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

✓**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამაზე მიღების წინაპირობა საჯარო და გამჭვირვალეა. ზოგადი რეგულაცია პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესახებ ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდსა და შესაბამის ოფიციალურ დოკუმენტაციაში. ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლა შეუძლიათ საქართველოს და უცხო ქვეყნის მოქალაქეებს. პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს (საქართველოს მოქალაქეს), რომელმაც გაიარა ერთიანი ეროვნული გამოცდები და მიღებული ქულების კოეფიციენტებით რანჟირების საფუძველზე მოიპოვა უფლება, ისწავლოს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამაზე. პროგრამაზე ჩარიცხვისათვის აბიტურიენტები ერთიან ეროვნულ გამოცდებზე არჩევით საგნად აბარებენ მათემატიკას, ისტორიას, გეოგრაფიას და ლიტერატურას. ამასთანავე, ინგლისური ენისგან განსხვავებით უნივერსიტეტის მიერ არ ხდება გერმანულის და რუსული ენის შეთავაზება უფრო მაღალ დონეებზე – B1 და B2.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ეკონომიკის საგანმანათლებლო პროგრამა

- პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
- ინფორმაციის საჯაროობა
- ვებ-გვერდი
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან და ხარისხის სამსახურთან

რეკომენდაციები:

- სასურველია უნივერსიტეტის მხრიდან უცხო ენის (გერმანული, რუსული) შესწავლა უფრო მაღალ დონეზე განხორციელდეს – B1 და B2

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედია კრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია.შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა შედგენილია უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.

ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამამ აკრედიტაცია მიიღო აკრედიტაციის საბჭოს 2014 წლის 19 ნოემბრის N 207 გადაწყვეტილებით, აღნიშნული პროგრამა ხორციელდება მისი აკრედიტაციიდან დღემდე. პროგრამაში ნაწილობრივ გათვალისწინებულია 2014 წლის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები.

ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ზოგადი საგნები- **28 კრედიტი;**

ეკონომიკის ძირითადი დისციპლინები - **142 კრედიტი;**

საბაკალავრო კვლევითი პროექტი/ნაშრომი/სპეციალობის არჩევითი საგანი-**10 კრედიტი;**

60 კრედიტი, რომლის ათვისებაც სტუდენტს შეეძლება შემდეგი ვარიანტებიდან ერთ- ერთის არჩევით:

1) უნივერსიტეტში მოქმედი ნებისმიერი აკრედიტებული MINOR პროგრამა **(60 კრედიტი);**

2) თავისუფალი/არჩევითი კურსები **- 60 კრედიტი.**

სულ 240 კრედიტი.

ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა მეტწილად პასუხობს პროგრამის საფეხურის შესაბამის განათლებას (ბაკალავრიატი) და პროგრამით მისანიჭებელ კვალიფიკაციას. (ეკონომიკის ბაკალავრი).

წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსებსა და პროგრამაში აღნიშნულ მონაცემებს შორის არის ტექნიკური შეუსაბამობები, დასახვეწია წინაპირობების საკითხი (თუმცა, აკრედიტაციის ჯგუფის ვიზიტის დასრულებამდე მოხდა ტექნიკური ხარვეზების გასწორება და დოკუმენტების გადაცემა ჯგუფისთვის. მიუხედავად ამისა, პროგრამასა და წარმოდგენილ სილაბუსებს შორის მაინც ფიქსირდება მცირე ტექნიკური შეუსაბამობები სწავლების სემესტრებთან მიმართებით, კერძოდ, აღნიშნული ფიქსირდება შემდეგი სასწავლო კურსების შემთხვევაში: „სამეწარმეო სამართალი“, „გადასახადები“).

ვფიქრობთ, რომ წარმოდგენილ დისციპლინებს შორის ჭარბადაა საგნები, რომლებიც არა საკუთრივ ეკონომიკის, არამედ ბიზნეს ადმინისტრირების საგნებია. ეკონომიკის პროგრამაზე ისწავლება ბუღალტრული და ფინანსური აღრიცხვის საფუძვლები, გადასახადები და საჯარო ფინანსები, შრომის სამართალი. ამასთან, ბიზნესის ადმინისტრირების მაინორი პროგრამის არჩევის შემთხვევაში შეიძლება ადგილი ჰქონდეს საგნების გადაფარვას. კერძოდ, სამეწარმეო სამართლის საფუძვლების - ბიზნესის სამართლის საფუძვლებთან, ფინანსური მენეჯმენტის - კორპორაციულ ფინანსებთან.

ამასთანავე, გასაძლიერებელი/დასამატებელია რიგი სასწავლო დისციპლინა, რომელიც აუცილებელია ეკონომისტის კვალიფიკაციის მისანიჭებლად – ეკონომიკური მოდელირება, ანალიტიკური კომპიუტერული პროგრამები, რეგიონისთვის აუცილებელი ტურიზმის/ჯანდაცვის ეკონომიკა.

უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მრავალი საერთაშორისო ხელშეკრულება ინტერნაციონალიზაციის ფარგლებში, თუმცა ამ ეტაპზე არსებითი აქტიობა ამ კუთხით არ ფიქსირდება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებია და განვითარების მეთოდოლოგია
- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები
- კურიკულუმის რუკა
- ვებ-გვერდი
- პროგრამის შემუშავებაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები

რეკომენდაციები:

- ეკონომიკის პროგრამის საგნობრივი დატვირთვა საჭიროებს გადახალისებას ეკონომიკური პროფილის საგნების გაძლიერებისა და ბიზნეს ადმინისტრირების საგნების რეორგანიზაციის გზით

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია ინტერნაციონალიზაციის დონის ამაღლება და მოწვეული პროფესორიების (მათ შორის პარტნიორი საერთაშორისო უნივერსიტეტებიდან) მოწვევა
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის სპეციალობის ძირითადი სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს და ამდენად, მათი ერთიანობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის სასწავლო კურსების შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება როგორც კურსის სწავლის შედეგებს, ასევე, პროგრამის სწავლის შედეგებს. სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია დარგის, მიმართულების აქტუალურ მიღწევებზე, რაც თავისთავად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის ფარგლებში შემუშავებულია სწავლის შედეგების რუკა, რომელიც განსაზღვრავს თითოეული სასწავლო კურსით მისაღწევ პროგრამის სწავლის შედეგს (სასწავლო კურსის მონაწილეობას კონკრეტული სწავლის შედეგის მიღწევაში).
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითსეფასების ანგარიში • ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა • პროგრამის სწავლის შედეგების რუკა • სწავლებისა და სწავლის მეთოდებით სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების რუკა

• პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება, შეფასების ინდიკატორების სასწავლო კურსებთან და შეფასების მეთოდებთან შესაბამისობის რუკა • სილაბუსები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას. პროგრამის 10 კრედიტი ეთმობა - საბაკალავრო კვლევითი პროექტის/ნაშრომის შემუშავებას, რომელიც არის არჩევითი. შესრულებული საბაკალავრო ნაშრომების ხარისხი არის მაღალი, თუმცა დაცული საბაკალავრო ნაშრომების რაოდენობა არის მცირე. რადგან სტუდენტებს ურჩევნიათ გაიარონ დამატებითი საგანი „საქართველოს ეკონომიკა“, ვიდრე შეასრულონ საბაკალავრო ნაშრომი. შესრულებული ნაშრომების ნაწილი შესრულებულია აკადემიური წერის სტანდარტების სრული დაცვით, ნაშრომებში ასახულია ისეთი მნიშვნელოვანი კომპონენტები, როგორიცაა ბიბლიოგრაფია, ციტირება, კვლევის საგანი და მეთოდოლოგია; ინტერნაციონალიზაციის კუთხით მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტს ბილატერალური შეთანხმებების ფარგლებში აქვს გაფორმეული ხელშეკრულება სხვადასხვა ქვეყნის უნივერსიტეტებთან. თუმცა, ფაქტიურად არანაირი საერთაშორისო კვლევა, ვიზიტი თუ აკადემიური პერსონალის/სტუდენტთა გაცვლითი პროგრამები ეკონომიკის საბაკალავრო საგანამანათლებლო პროგრამაზე ამ ეტაპზე არ ხორციელდება. გასაუბრების დროს ამის ძირითად მიზეზად დასახელდა უცხო ენის არასათანადო დონეზე ფლობა აკადემიური პერსონალის (ლექციის წაკითხვა თუ კვლევა) და სტუდენტთა მიერ. ეკონომიკის პროგრამის აკადემიური პერსონალი და სტუდენტები აქტიურად არიან ჩართული უნივერსიტეტის ფარგლებში განხორციელებულ სამეცნიერო აქტივობაში –

სამეცნიერო ჟურნალი, კონფერენცია, მოხსენება. თუმცა, საკმაოდ დაბალია სამეცნიერო აქტივობა იმპაქტ ფაქტორის მქონე გამოცემებსა და კონფერენციებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საბაკალავრო ნაშრომები • ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა • სასწავლო გეგმა • თანამშრომლობის მემორანდუმები • სტუდენტური კონფერენციების შესახებ ანგარიში • საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ანგარიში ეკონომიკის პროგრამის ინტერნაციონალიზაციის შესახებ.
რეკომენდაციები: • საერთაშორისო აკადემიური თუ გაცვლითი პროგრამებში უნივერსიტეტის მიერ დადებული ხელშეკრულებების შესასრულებლად და ამ ფორმატის გასაძლიერებლად აუცილებელია უცხო ენის კვალიფიციურ დონეზე შესწავლა, რომ აკადემიურმა პერსონალმა შეძლოს ლექცია/სემინარის უცხო ენაზე წარმართვა და საერთაშორისო დონეზე პროგრამის ინტერნაციონალიზაციის განხორციელება. • პროგრამის სამეცნიერო პოტენციალი გასაფართოებელია ქვეყნის მასშტაბით. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტიობა უნდა მოიცავდეს საქართველოში ჩატარებული საერთაშორისო კონფერენციებსა და იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალებში სტატია/კვლევის გამოქვეყნებას.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ▪ სასურველია ინტერნაციონალიზაციის დონის ამაღლება და პროფესორების (მათ შორის პარტნიორი საერთაშორისო უნივერსიტეტებიდან) მოწვევა. ▪ უცხო ენის მაღალ დონეზე შესწავლისა და ლექცია/სემინარების უცხოენაზე ჩატარების ხელშეწყობის მიზნით დაინერგოს დაფინანსების და ხელშეწყობის რიგი ღონისძიებები (გრანტი, დაფინანსება, წახალისება)
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში ყურადღებით იქნა შესწავლილი თუ როგორ უზრუნველყოფს საბაკალავრო პროგრამა სწავლება-სწავლის მეთოდების შესაბამისობას სწავლების საფეხურთან, შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. ინტერვიუებისა და წარდგენილი დოკუმენტების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ ხდება სწავლება-სწავლის შემდეგი მეთოდების გამოყენება: ლექცია; სემინარი; ჯგუფში მუშაობა; პრაქტიკული მუშაობა; ელექტრონული რესურსით სწავლება; ელექტრონულისწავლება; ინტერაქტიური მეთოდი, ინდუქცია; დედუქცია, ანალიზი; სინთეზი.

სწავლება-სწავლის მეთოდი მოიცავს შესაბამის აქტივობებს (დისკუსია, დებატები, პრეზენტაცია, სიტუაციური მაგალითები/ამოცანები დასხვ.)

2017 წლიდან სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჩართულია ერასმუს+-ის პროექტში - **ASSET-** Assessment Tools for new learning environments in higher education institutions**,** რომელიც ითვალისწინებს შეფასების სრულიად ახალი მეთოდების დანერგვას სასწავლო პროცესში. შესაბამისად, პროექტი ერთ-ერთი დამხმარე ინსტრუმენტი იქნება პროგრამის განვითარებისთვის მომავალში. 2019 წელს პროექტის ფარგლებში შეფასების მეთოდების დანერგვის უზრუნველსაყოფად და პროექტის წარმატებით განხორციელებისათვის შეძენილ იქნა IOS სისტემის მობილური ლაბორატორია (APPLE -ის აიპადები), რომელიც საუნივერსიტეტო საჭიროებებზეა მორგებული.

პროგრამაში ჩამოყალიბებულია სწავლის შედეგები და სწავლის მეთოდები. თუმცა ჩვენი აზრით, პროგრამის კომპონენტებისა და წარმოდგენილ საგნებს შორის მკაფიოდ არ არის განსაზღვრული სწავლის შედეგებისა და სწავლის მეთოდების შესაბამისობა პროგრამის კომპონენტის სპეციფიკის გათვალისწინებით. განსაკუთრებით ეს შეეხება სწავლის შედეგის 4 პუნქტს. ამ მხრივ გასაძლიერებელია ანალიტიკის,მოდელირებისა და კომპიუტერული ცოდნის მქონე ეკონომიკური საგნების შესწავლა/დამატება. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალ სხვადასხვა კომპონენტებში გამოყენებულია სწავლების სტანდარტული მეთოდები. თუმცა, აღნიშნული სწავლების მეთოდები სტანდარტულად გამოიყენება პროგრამით გათვალისწინებული სილაბუსების უმრავლესობაში, რაც ბუნდოვანს ხდის ყველა დისციპლინაში მათი გამოყენების საჭიროებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები პროგრამაზე პასუხისმგებელ პირებთან
- ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა
- სწავლებისა და სწავლის მეთოდებით სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების რუკა
- სილაბუსები

• უნივერსიტეტის სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია
რეკომენდაციები: • მკაფიოდ უნდა განისაზღვროს სასწავლო კურსების სწავლება-სწავლის მეთოდები დასახული მიზნისა და შედეგების მისაღწევად, სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით;
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტის შეფასებისას უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული (ECTS) სისტემით და ,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონით (2004.21.12). სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასებაა 100 ქულა. შეფასებების ფორმები მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს. საბოლოო შეფასება გამოითვლება შუალედური და დასკვნითი შეფასებების დაჯამების საფუძველზე. სილაბუსებში მოცემულია შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვრები. შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრების ჯამი შეადგენს 51 ქულას. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც სილაბუსით გათვალისწინებული შუალედური შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი აქვს დაძლეული. შესაძლებელია შუალედური შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის მისაღწევად დასკვნით გამოცდამდე სტუდენტმა განმეორებით ჩააბაროს სილაბუსით გათვალისწინებული შუალედური კომპონენტები. შუალედური და დასკვნითი გამოცდები საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის (საგნის) თავისებურების გათვალისწინებით, ტარდება წერილობით, ზეპირად ან ელექტრონულად. დასკვნით გამოცდებს ატარებს უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრი.

სასწავლო კურსებში ყველაზე ხშირად გამოყენებული შეფასების ფორმებია: წერითი, ზეპირი დავალება, პრეზენტაცია. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით შეფასების ფორმებს და კრიტერიუმებს ადგენს შესაბამისი სასწავლო კურსის ავტორი/ავტორები. აღსანიშნავია, რომ სამუშაო ჯგუფში მუშაობა ითვალისწინებს ყოველი შუალედური შეფასების შემდეგ ლექტორის მიერ სტუდენტთათვის ცოდნის შეფასების შედეგების გაცნობას, ანალიზს, ტიპიური შეცდომების განხილვას. შუალედური შეფასებების და დასკვნითი გამოცდის შეფასების გაცნობისა და განმარტების მიზნით შესაძლოა, გამოყენებულ იქნას, ასევე, პროგრამის აკადემიური პერსონალის სავალდებულო საკონსულტაციო საათები. ეს დადასტურდა სტუდენტებთან გასაუბრებიდანაც.

უნივერსიტეტში დანერგილია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემები (მათ შორის Moodle).

სტუდენტებთან გასაუბრების დროს (ასევე გამოკითხვის შედეგებიდან გამომდინარე) ისინი დადებითად აფასებდნენ მოქმედ შეფასების სისტემასა და მის შემადგენელ კრიტერიუმებს, თუმცა, მათ ასევე მიუთითეს გამოცდების ფორმატის შერეული სტილის საჭიროებაზე, მაგალითად, მხოლოდ ტესტური დავალების ნაცვლად სასურველი იქნებოდა კონკრეტული ეკონომიკური ამოცანების ამოხსნა, თეორიული საკითხის მომზადება და სხვ. შეფასების სისტემის გამრავალფეროვნების მიზნით, ასევე, პროგრამისა და სასწავლო კურსის შედეგების მისაღწევად მიზანშეწონილია გადაიხედოს შემდეგი სასწავლო კურსების დასკვნითი გამოცდის შეფასების ფორმატი: მიკროეკონომიკა I-II, ეკონომიკური პოლიტიკა I-II, საერთაშორისო ეკონომიკა II, ეკონომიკური აზრის ისტორია. ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ შემდეგი სასწავლო კურსების: მიკროეკონომიკა I-II, ეკონომიკური პოლიტიკა I-II, საერთაშორისო ეკონომიკა I-II შემთხვევაში შუალედური გამოცდის დროს გამოიყენება შეფასების შერეული კომპონენტები, მაშინ როდესაც დასკვნით გამოცდაზე შეფასება ხორციელდება მხოლოდ ტესტებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები;
- სტუდენტთა შეფასების წესი;
- სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემები;
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

- ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ შემდეგი სასწავლო კურსების: მიკროეკონომიკა I-II, ეკონომიკური პოლიტიკა I-II, საერთაშორისო ეკონომიკა I-II შემთხვევაში შუალედური გამოცდის დროს გამოიყენება შეფასების შერეული კომპონენტები, მაშინ როდესაც დასკვნით გამოცდაზე შეფასება ხორციელდება მხოლოდ და მხოლოდ ტესტებით. სასურველია, სასწავლო კურსების სპეციფიკიდან გამომდინარე, გადაიხედოს დასკვნითი გამოცდის შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები, რათა უფრო მაღალ დონეზე მიიღწეს პროგრამისა და სასწავლო კურსის შედეგები და გამრავალფეროვნდეს შეფასების სისტემა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე,აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების, ფაკულტეტების პერსონალი (ფაკულტეტის ადმინისტრაცია და საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული პირები) უზრუნველყოფს სათანადო ინფორმაციის მიწოდებას სტუდენტებისათვის უსდ-ში არსებული კონსულტაციებისა და დახმარების შესახებ. ფაკულტეტზე სტუდენტი იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან, აკადემიური მიღწევების

გაუმჯობესებასთან, დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით. აკადემიური პერსონალი ინდივიდუალური მუშაობის რეჟიმში აწვდის ინფორმაციას სტუდენტებს უშუალოდ სასწავლო კურსების შესახებ, ასევე სტუდენტთა საკონფერენციო მოხსენებებისა და საკვალიფიკაციო ნაშრომის მომზადებასთან დაკავშირებით. უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს ადმინისტრაციულად გახსნილი აქვს საუნივერსიტეტო ელექტრონული ფოსტა. სტუდენტს სასწავლო პროცესის მანძილზე ელექტრონული საფოსტო მიმოწერის გზით საჭირო ინფორმაციის მიღების საშუალება აქვს მისი ნებისმიერი ლექტორისაგან.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ სტრუქტურაში არსებულ ერთეულებს შორის, მათი უშუალო ფუნქციებიდან გამომდინარე, გადანაწილებულია სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება. სტუდენტთა კონსულტირებასთან დაკავშირებით უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის განყოფილების პერსონალის ფუნქციებში შედის: სტუდენტთა ინფორმირება აკადემიური კალენდრის ვადებთან, სტუდენტთა ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაციის გავლის აუცილებლობასთან დაკავშირებით; უნივერსიტეტში არსებული სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემისა და ელექტრონული სწავლის სპეციალური პროგრამის Moodle-ს შესახებ სტუდენტებისათვის სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდება; სტუდენტთა დროული ინფორმირება სტუდენტებისათვის სახელმწიფოსაგან დაშვებული სოციალური პროგრამების, უნივერსიტეტში არსებული სტიპენდიების დანიშვნის წესისა და პირობების შესახებ; სტუდენტებისათვის მათი უფლების გაცნობა სწავლის პროცესში მობილობით სარგებლობის შესახებ და მობილობასთან დაკავშირებით მათთვის ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება; საგანმანთლებლო სფეროში მიმდინარე სხვადასხვა კონკურსების, პროექტების და პროგრამების შესახებ ინფორმაციის მოპოვება და უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის გაცნობა;

უნივერსიტეტის სამეცნიერო სამსახური სტუდენტებს სისტემატურად აწვდის ინფორმაციას როგორც უნივერსიტეტში, ისე საქართველოსა და უცხოეთში დაგეგმილი სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციებისა და სხვა სამეცნიერო-კვლევითი ღონისძიებების შესახებ. ეს უკანასკნელი საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურთან კოორდინაციით ავრცელებს ინფორმაციას მიმდინარე სიახლეების შესახებ. ასევე, უნივერსიტეტში მიმდინარე ღონისძიებების და კურიკულუმს მიღმა აქტივობების შესახებ სტუდენტებს ინფორმაციას აწვდის სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის და სპორტისა და კულტურის განყოფილებები.

სტუდენტთა ინფორმირებასა და კოორდინაციას გაცვლით პროგრამებში მონაწილეობასთან დაკავშირებით ახდენს უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობის სამსახური.

ამდენად, სტუდენტებს საშუალება ეძლევათ ჩართული იყვნენ სტუდენტურ ცხოვრებაში, კერძოდ, გაწევრიანდნენ სტუდენტურ კლუბებში, მიიღონ მონაწილეობა სხვადასხვა ადგილობრივ პროექტსა თუ კონფერენციაში, რომელთა შესახებაც ინფორმაციას სისტემატურად იღებენ უნივერსიტეტის ვებ-გვერდის საშუალებით. ასევე, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამებში. მაგრამ ამ მხრივ, ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა აქტივობა არის ძალიან დაბალი.

აღსანიშნავია, რომ Tempus-საერთაშორისო პროექტის „სტუდენტთა კარიერული სერვისების განვითარება ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში“ ფარგლებში 2012-2014 წლებში უნივერსიტეტის პერსონალი გადამზადდა კარიერული სერვისების მართვის საკითხებში. სწორედ ამის შემდეგ გამოიყო ახალი საშტატო ერთეული, რომელიც საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების შემადგენლობაში შევიდა და რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებულობას და კონსულტირებას კარიერული განვითარების კუთხით. ასევე, ხდება მუდმივი თანამშრომლობა, რეგიონის მასშტაბით, დამსაქმებლებთან და ახალი ვაკანტური ადგილების, სტაჟირებების შესახებ ინფორმაციის გავრცელება სტუდენტებში. ეს უკანასკნელი დასტურდება სტუდენტებთან და კურსდამთავრებულთან ინტერვიუებიდან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურების მექანიზმი; • სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგები; • ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნდეს აკადემიური პერსონალის საკონსულტაციო განრიგი.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას, ასევე, სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამას წარმართავს სათანადო კვალიფიკაციის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომელსაც გააჩნია სამეცნიერო, პედაგოგიური და პრაქტიკული მოღვაწეობის გამოცდილება. რასაც ადასტურებს ბოლო 5 წლის განმავლობაში პროგრამის პროფესორ-მასწავლებლების პუბლიკაციები (მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები, სამეცნიერო სტატიები) და მათი მონაწილეობა სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში და ტრენინგებში. თუმცა, აქვე აღსანიშნავია საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის და საერთაშორისო პუბლიკაციების დაბალი მაჩვენებელი, რაც გამოწვეულია უცხო ენების არასაკმარისი ცოდნით (რაც უკვე აისახა ჩვენს შეფასებაში 1-2 სტანდარტებთან მიმართებით).

ეკონომიკის პროგრამაზე აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა განსაზღვრულია უნივერსიტეტის „აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესის“ თანახმად. აკადემიური პერსონალის თანამდებობაზე არჩევა ხდება ღია კონკურსის წესით. მოწვეული ლექტორების შერჩევის პროცესში ყურადღება ექცევა შესაბამის სფეროში განათლებას, პრაქტიკულ და პედაგოგიურ გამოცდილებას. პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის რაოდენობა 5 პროფესორს და 14 ასოცირებულ პროფესორს მოიცავს. 19 თანამშრომლიდან 18 აფილირებულია (5 პროფესორი, 13 - ასოცირებული პროფესორი). აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა 19/2 შეადგენს. თვითშეფასების ანგარიშის თანახმად აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა/ დენადობის მაჩვენებელი ბოლო 5 წლის განმავლობაში არ შეცვლილა.

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა ძირითადად უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევით საქმიანობისა და სხვა ფუნქციების ჯეროვან შესრულებას.

პროგრამის ხელმძღვანელს და თანახელმძღვანელს აქვთ პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდ არიან ჩართული პროგრამის განხორციელებაში, მონაწილეობენ პროგრამის შეფასება-განვითარებაში, სტუდენტების კონსულტირებაში, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ ყველა ღონისძიებაში.

ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამას, ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის შემადგენლობაში, ჰყავს 4 ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, ესენია: დეკანი, დეკანის მოადგილე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი, სპეციალისტი.

ამგვარად, პროგრამა უზრუნველყოფილია სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. ასევე, სჯსუ რიგ შემთხვევებში თვითონ ასაქმებს წარჩინებულ კურსდამთავრებულებს სხვადასხვა თანამდებობებზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა;
- საბაკალავრო პროგრამების სილაბუსები;
- პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები
- აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესი

- პერსონალის დატვირთვის სქემა
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები
- ინტერვიუს შედეგები თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
- სჯსუ ვებ-გვერდი: http://www.sjuni.edu.ge

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამაში სპეციალიზაციის საგნობრივი კონცენტრირების გაძლიერების აუცილებლობიდან გამომდინარე (იხ. სტანდარტი 2.2) საჭირო იქნება აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობის გაზრდა, რაც სასურველია გაკეთდეს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა აკადემიური დასაქმების და სხვა ახალგაზრდა სპეციალისტების მოწვევის გზით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში და კერძოდ ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამაზე აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასება ხორციელდება „აკადემიური პერსონალის სასწავლო წლის ანგარიში“-ს ყოველწლიური ფორმის საფუძველზე, რომელშიც გათვალისწინებულია როგორც დატვირთვის სქემის ელემენტები, ასევე აკადემიური პერსონალის პროდუქტიულობის შეფასება ისეთი კრიტერიუმებით, როგორიცაა: კონფერენციებში, ტრენინგებში, კვლევით პროექტებში

მონაწილეობა და ნაშრომების გამოქვეყნება. აღნიშნული ინფორმაცია თავმოყრილია პერსონალის პირად საქმეებში.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად აწარმოებს სტუდენტთა გამოკითხვას აკადემიური/მოწვეული პერსონალის შესახებ. ამის შემდეგ პერსონალს ინდივიდუალურ რეჟიმში აცნობენ კვლევის შედეგებს და ასევე რეკომენდაციას აძლევენ, საქმიანობის რა ნაწილს უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. ინფორმაცია კონფიდენციალურია.

პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის კუთხით ყოველწლიურად ტარდება საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო კონფერენციები, სადაც ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის აკადემიური პერსონალიც მონაწილეობს. ასევე, უნივერსიტეტი თანადაფინანსებას უწევს პროფესორ-მასწავლებლებს პუბლიკაციების განსათავსებლად; უნივერსიტეტთან არსებული გამომცემლობაში შესაძლებელია სასწავლო და სამეცნიერო ნაშრომების უფასოდ გამოცემა.

თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებას, ასევე მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობას, უნივერსიტეტი შემდეგი მექანიზმით ახორციელებს:

1. აკადემიური პერსონალის საერთაშორისო პროგრამებში/პროექტებში აქტიური ჩართვა, გაცვლითი მობილობა (Erasmus+ და სხვა პროექტების ფარგლებში).
2. ტრენინგებში/ კონფერენციებში მონაწილეობის მიღება, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე.
3. სასწავლო ტურებში/სემინარებში მონაწილეობა, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე.
4. კოლეგებს შორის საუკეთესო პედაგოგიური გამოცდილების გაზიარება.
5. პროფესორ-მასწავლებლების შეფასების მონიტორინგი პროგრამის ხელმძღვანელის/ხარისხის სამსახურის წარმომადგენელის მიერ.
6. განმავითარებელი შეფასებები.

რეალურად ამ გეგმის საწყისი პუნქტების განხორციელებას მეტად ართულებს უცხო ენების ცოდნის არასაკმარისი დონე. საკითხის მოსაგვარებლად უნივერსიტეტმა ორგანიზება გაუკეთა უფასო უცხო ენის კურსებს პროფესორ-მასწავლებლებისთვის, სადაც ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის აკადემიური პერსონალიცაა ჩართული. პროგრამის თანახელმძღვანელმა ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტთა ჯგუფს ინგლისური ენის შემსწავლელი კურსების მონაწილე პროფესორების სია და მათი შედეგები წარუდგინა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები
- პროგრამის ბიუჯეტი
- აკადემიური პერსონალის გამოკითხვა (2019 ეკონომიკა.pdf)
- ინტერვიუს შედეგები
- საფაკულტეტო სამეცნიერო ყოველწლიური კონფერენცია
- უნივერსიტეტთაშორისი სამეცნიერო კონფერენცია 2015, 2016
- „ეკონომიკა, ბიზნესი, მართვა“, შრომების კრებული 2013 წლიდან დღემდე

რეკომენდაციები: • პროგრამის ხელმძღვანელობამ, ერთისმხრივ, უნდა გააძლიეროს აკადემიური/ მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების და სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა საერთაშორისო მიმართულებით; მეორეს მხრივ, აკადემიურმა პერსონალმა მეტად იაქტიუროს რეფერირებად საერთაშორისო ჟურნალებში პუბლიკაციების განთავსების და საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის კუთხით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • მიუხედავად გატარებული ღონისძიებისა - პერსონალის პროფესიულ განვითარების ხელშეწყობის მიზნით უნივერსიტეტმა ორგანიზება გაუკეთა ინგლისური ენის შემსწავლელ კურსებს პროფესორ/მასწავლებლებისთვის - საჭიროა მეტი ძალისხმევა და მუშაობის გაღრმავება უცხო ენების ათვისების მიმართულებით, რომლის გარეშე პროგრამის ინტერნაციონალიზაციის საკითხი ეჭვქვეშ დგება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
➢ პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა უზრუნველყოფილია სჯსუ-ს ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით. უნივერსიტეტის შენობა-ნაგებობებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ნორმები (დამონტაჟებულია სიგნალიზაცია, სტენდები და ცეცხლმაქრები); შემუშავებულია და თვალსაჩინო ადგილებზეა გამოკრული ევაკუაციის გეგმები სართულების მიხედვით. უნივერსიტეტის სასწავლო აუდიტორიები და კაბინეტები აღჭურვილია თანამედროვე მოწყობილობებითა და ინვენტარით, ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემით, ცენტრალიზებური

გათბობის სისტემით. უნივერსიტეტს გააჩნია ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერული კლასები.

საბაკალავრო პროგრამა სარგებლობს საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკით, რომელსაც სწავლის ხელშემწყობი გარემო და ეკონომიკის მიმართულებით ვრცელი წიგნადი ფონდი გააჩნია. ბიბლიოთეკა აღჭურვილია ინტერნეტში ჩართული კომპიუტერებით. ბიბლიოთეკის ბეჭდური და ელექტრონული ფონდი მოიცავს ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსების განხორციელებისათვის აუცილებელ ძირითად და დამხმარე ლიტერატურას. ექსპერტთა ჯგუფმა პროგრამის სილაბუსების შესაბამისად, შერჩევითი შემოწმების საფუძველზე, დაადასტურა მითითებული ლიტერატურის არსებობა საბიბლიოთეკო ფონდში და დაადგინა, რომ ლიტერატურა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის სამკითხველო დარბაზებსა და კაბინეტებში როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული სახით. აღსანიშნავია, ფაკულტეტის ადმინისტრაციის მზადყოფნა სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურის შესაძენად და ფონდის შესავსებად; ასევე, მუდმივად მიმდინარეობს ბეჭდური მასალების გაციფრულების პროცესი; განხორციელებულია სამეცნიერო ბიბლიოთეკის სრული კომპიუტერული კატალოგიზაცია.

2017 წლიდან სჯსუ-ს ბიბლიოთეკა თანამშრომლობს საქართველოს ბიბლიოთეკების ინტეგრირებული საინფორმაციო ქსელის კონსორციუმთან და ხელშეკრულების საფუძველზე შეუძლია გამოიყენოს შემდეგი ელექტრონული რესურსები:

- Cambridge Journals Online (https://www.cambridge.org/core);
- BioOne Complete (http://www.bioone.org/);
- e-Duke Journals Scholarly Collection (https://www.dukeupress.edu/);
- Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books (https://www.elgaronline.com/page/70/journals);
- IMechE Journals (https://us.sagepub.com/en-us/nam/IMeche);
- New England Journal of Medicine (http://www.nejm.org/);
- Openedition Journals (http://www.openedition.org/);
- Royal Society Journals Collection (https://royalsociety.org/journals/);
- SAGE Premier (https://us.sagepub.com/en-us/nam/sage-premier.

უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში 2015 წლიდან გახსნილია ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის ფილიალი - საინფორმაციო ცენტრი, რის საფუძველზეც შესაძლებელია Cambridge Dictionaries Online ლექსიკონებით სარგებლობა. მოთხოვნის შესაბამისად ხელმისაწვდომია ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის როგორც წიგნადი ფონდით (4 მლნ. წიგნი), ასევე ელექტრონული რესურსით (120 000 ერთეული) სარგებლობა. სჯსუ-ს მოთხოვნის საფუძველზე ეროვნული ბიბლიოთეკიდან იგზავნება გაციფრებული სახელმძღვანელოები. 2014 წლის მაისიდან სჯსუ-ს წვდომა აქვს წამყვან საერთაშორისო ონლაინ გამომცემლობა ELSEVIER-ის ბაზებზე. სჯსუ-ს, როგორც კონსორციუმის წევრ ორგანიზაციას წვდომა აქვს სხვა საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებზეც. სტუდენტები ინფორმირებულები არიან უნივერსიტეტში არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობის და მოხმარების წესების შესახებ.

როგორც 2.5 ქვესტანდარტში აღინიშნა 2019 წელს ASSET (Assessment Tools for new learning environments in higher education institutions) პროექტის ფარგლებში შეძენილ იქნა IOS სისტემის მობილური ლაბორატორია (APPLE-ის აიპადები), რომელიც საუნივერსიტეტო

საჭიროებებზეა მორგებული. აღნიშნულით სარგებლობა შეუძლიათ პროგრამის როგორც აკადემიურ პერსონალს, ასევე სტუდენტებს. IOS სისტემის აპლიკაცია საგანმანათლებლო პროცესის გასაუმჯობესებლად პედაგოგს საშუალებას აძლევს აკონტროლოს ქსელში ჩართული თითოეული Ipad-ი, გადაგზავნოს ფაილები, ელექტრონული წიგნები, ერთდროულად გაუშვას ვიდეო და აკონტროლოს სტუდენტთა ჩართულობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • შენობა-ნაგებობების, ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების დათვალიერება; • საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსი; • ეკონომიკის პროგრამის სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის საბიბლიოთეკო ფონდი; • საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; • ელექტრუნული ბიბლიოთეკა http://ebiblioteka.sjuni.edu.ge/index.php/ka/ • ინტერვიუები სტუდენტებთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება უნივერსიტეტის ცენტრალიზებული ბიუჯეტიდან, მასში ასახული შემოსავალ-გასავლების კატეგორიების მიხედვით. აღსანიშნავია, რომ პროგრამა სახელმწიფო დაფინანსებაზეა, რაც ამ ეტაპზე სრულად უზრუნველყოფს მის ფინანსურ მდგრადობას.

ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში გათვალისწინებულია შემდეგი მუხლები: აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურება, სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად კომპიუტერული ტექნიკის, ინვენტარის, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის და კომუნალური ხარჯები. ასევე გათვალისწინებულია ხარჯები პროგრამის განვითარებისათვის (მთლიანი ხარჯის 5%).
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა, პროგრამის ბიუჯეტი • პროგრამის ბიუჯეტის შედგენის წესი • ინტერვიუები ფაკულტეტის და პროგრამის ადმინისტრაციასთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია გაიზარდოს პროგრამის განვითარების ბიუჯეტი, კერძოდ, გამოიყოს მეტი თანხები პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გადაუდებელი ღონისძიებებისთვის.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფისსამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონით „უმაღლესი განათლების შესახებ“, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“, ასევე, ავტორიზაციის და აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად, უნივერსიტეტის წესდებით, უნივერსიტეტის ნორმატიული და სამართლებრივი აქტებით. მას გააჩნია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა ინსტიტუციური სისტემა, რომელიც მონაწილეობს უნივერსიტეტის საქმიანობის დაგემვის, მართვის, მონიტორინგის და განვითარების პროცესებში, რომელიც ეხმარება დაწესებულებას სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, აგრეთვე პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხარისხის სისტემატური შეფასებისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეებია: აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. აღნიშნული პირების ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამის სრულყოფასა და განვითარებაში დასაბუთებულია სახელმწიფოს, შრომის ბაზრის, სტუდენტების, კურსდამთვარებულების, საზოგადოებისა და დამსაქმებლების მოთხოვნებისა და საჭიროების კვლევით. კვლევა ტარდება გამოკითხვის დახმარებით. კვლევის შედეგების საფუძველზე შექმნილი საერთო სურათი პროგრამის ხელმძღვანელებს, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან ურთიერთანამშრომლობის საფუძველზე აძლევს შესაბამის მიმართულებებს უკეთ დაგეგმონ სასწავლო პროცესი, გაითვალისწინონ საბაზრო მოთხოვნილებები და სტუდენტთა დამოკიდებულება აღნიშნული პროგრამის განვითარების მიმართულებით.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერიოდულად ატარებს გამოკითხვებს დაინტერესებულ მხარეებთან, რისთვისაც ადგენს სხვადასხვა სახის კითხვარებს. გამოკითხვები ტარდება იმ ორგანიზაციებთან და პრაქტიკის ობიექტებთან, რომლებთანაც უნივერსიტეტს პროგრამების პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით გაფორმებული აქვს მემორანდუმები.

შესაბამისად, პროგრამის განხორციელების შეფასების შედეგად უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან თანამშრომლობით შეიმუშავებს კონკრეტულ რეკომენდაციებს პროგრამის განხორციელების შემდგომი სრულყოფის მიზნით. რეკომენდაციები წარედგინება ფაკულტეტებისა და აკადემიურ საბჭოებს.

აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრებისას დადასტურდა, რომ მათი რეკომენდაციების და გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე ეკონომიკის

საბაკალავრო პროგრამაში შევიდა გარკვეული ცვლილებები. მაგალითად, გაიზარდა უცხო ენის საათობრივი დატვირთვა და სხვ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმები; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში გარე ხარისხის შეფასების მექნიზმად გამოიყენება აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები. ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამაში გათვალისწინებულია 2014 წლის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციების გარკვეული ნაწილი. მაგალითად, ეკონომიკის ძირითადი მოდულის სასწავლო კურსებს დაემატა სასწავლო კურსი „ეკონომიკური აზრის ისტორია“, სასწავლო კურსი „გადასახადები“ სწავლების მეორე სემესტრიდან გადავიდა მეექვსე სემესტრში და სხვ. ამ ეტაპზე პროგრამას არ ჰყავს არც ადგილობრივი და არც საერთაშორისო შემფასებელი. თუმცა, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ დაწესებულების სხვა პროგრამაზე უკვე არსებობს ან იგეგმება სამომავლოდ საერთაშორისო შემფასებლის მოწვევა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმები; • 2014 წლის ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციები; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია გარე ექსპერტ-შემფასებლების (ადგილობრივი თუ საერთაშორისო) ჩართვა საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცესში მისი განვითარებისა და სრულყოფის მიზნით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების მიხედვით. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების პროცესში მონაწილეობას იღებს ყველა დაინტერესებული მხარე, ეს უზრუნველყოფილია სხვადასხვა გამოკითხვის საფუძველზე. 5.1 სტანდარტში როგორც აღინიშნა საგანმანათლებლო

პროგრამების შეფასების მიზნით უნივერსიტეტში ხორციელდება სტუდენტების, კურსდამთავრებულების, აკადემიური პერსონალისა და დამსაქმებლების გამოკითხვები. გამომდინარე იქიდან, რომ პირველი კურდამთავრებულების გამოშვება ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამაზე მიმდინარე წლის ზაფხულის თვეში განხორციელდა, აქამდე არ ჩატარებულა შესაბამისი გამოკითხვა მოცემული პროგრამის კურსდამთავრებულებისთვის. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სემესტრულად აწარმოებს სტუდენტთა გამოკითხვას აკადემიური/მოწვეული პერსონალის შესახებ. გამოკითხვის შედეგებს ეცნობა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი. პერსონალს ინდივიდუალურ რეჟიმში აცნობენ კვლევის შედეგებს, ასევე, შედეგების მიხედვით თითოეულისთვის გასცემენ რეკომენდაციებს. სტუდენტები კითხვარებით ასევე აფასებენ სასწავლო კურსებს, სასწავლო პროცესსა და საბიბლიოთეკო რესურსებს. პროგრამის პერიოდული მონიტორინგი აკადემიური ნაწილის მიმართულებით ხდება აკადემიური, მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემის (სწავლებისა და კვლევის ხარისხი, საერთაშორისო მობილობის მაჩვენებელი და სხვა) მიხედვით. დატვირთვის სქემა შემუშავებულია ავტორიზაცია/აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად. აკადემიური პერსონალი, ამ სქემის მიხედვით ანგარიშებს წარმოადგენენ ყოველი სემესტრის ბოლოს. შეფასების შედეგების გაანალიზების საფუძველზე ხდება რეკომენდაციების შემუშავება პროგრამის მოდიფიცირების უზრუნველსაყოფად. თუმცა, საბუთებით არ დასტურდება კონკრეტული მოკლევადიანი თუ გრძელვადიანი სამოქმედო გეგმის არსებობა გამოვლენილი სისუტეების აღმოსაფხვრელად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმები; • სტუდენტთა გამოკითხვა; • დამსაქმებელთა კვლევა; • აკადემიური პერსონალის კვლევა; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • მიზანშეწონილია თვითშეფასების შედეგად გამოვლენილი სუსტი მხარეების აღმოსაფხვრელად და საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება/გაუმჯობესებისათვის გაიწეროს კონკრეტული მოკლევადიანი და გრძელვადიანი სამოქმედო გეგმები.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სამცხე –ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ეკონომიკის პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 34 გვერდი

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის



დავით ასლანიშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

მაია ბარამიძე

ნინო ტალიკაძე